

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

0-200000 ქულის მქონე ოჯახებისათვის პირველ და მეორე ახალშობილზე
ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 08

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

7500 (შვიდიათასსუთასი) ლარი

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი 7500 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

სოციალურად დაუცველი ოჯახების სტიმულირების მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც გულისხმობს მატერიალურ დახმარებას პირველ და მეორე ახალშობილზე იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 200000-მდეა. პროგრამა ითვალისწინებს მატერიალურ დახმარების გაცემას პირველ ბავშვზე 300 ლარის და მეორე ბავშვზე 400 ლარის ოდენობით.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ერთჯერადი მატერიალური დახმარება 0-200000-მდე ქულის მქონე ოჯახებზე პირველ და მეორე ახალშობილზე.	პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ერთჯერადი დახმარების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0 - 200000-მდე სარეიტინგო ქულით დაფიქსირებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები.

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებაში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 200000-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახები.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	7500			7500
	დამატებითი					
	სულ		7500			7500

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	მატერიალური დახმარება პირველი შვილის შეძენისას	ოჯახი	5	300	1500
2	მატერიალური დახმარება მეორე შვილის შეძენისას	ოჯახი	15	400	6000

სულ ჯამი	7500
----------	------

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლების პირადობის მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
3. შვილების დაბადების მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
4. ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი ამონაწერი;
5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.
6. საჭიროების შემთხვევაში – ქორწინების მოწმობა და სხვა დოკუმენტაცია.

შენიშვნა: სხვადასხვა მიზეზით დაგვიანებით მომართვის შემთხვევაში 2017 წლის დეკემბერში შვილის შექენასთან დაკავშირებით ოჯახზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა შვილის შექენის პერიოდში მოქმედი მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სარგოს ფარგლებში.